

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ოქმი №19

2018 წლის 7 სექტემბერი, 12:00 საათი.

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: კარლო ჯამბურია- საკრებულოს თავმჯდომარე.

**სხდომას ესწრებდნენ:**

საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის);  
მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - გიორგი მანგოშვილი;  
მერიის სამართლებრივი მომსახურებისა და ზედამხედველობის სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი-ნათია დათუკიშვილი;  
მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ლევანი ხარაშვილი;  
მოქალაქე (სოფელი მსხალგორი) - ვლადიმერ სამხარაძე.

-1-

**მოისმინეს:**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 2 კვარტლის შესრულების მიმოხილვა.  
/მომხს: ნ. კუპრაშვილი, გ. მანგოშვილი/

-2-

**მოისმინეს:**

ინფორმაცია მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს:ლ. ხარაშვილი/

-3-

**მოისმინეს:**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მშენებლობის ნებართვის ფორმის დამტკიცების შესახებ“  
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აგვისტოს №66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: გ.დარბაიძე/

**გადაწყვიტეს:**

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მშენებლობის ნებართვის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აგვისტოს №66 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge10/08/2018,330010040.35.167.016416](http://www.matsne.gov.ge10/08/2018,330010040.35.167.016416)).

/დადგენილება №71 თან ერთვის/

-4-

**მოისმინეს:**

სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში ან/და არსებული არაფუნქციონირებადი / მიტოვებული შენობა- ნაგებობების განვითარების მიზნით მშენებლობის ნებართვის დადგენილ ვადაში აუღებლობისთვის ჯარიმის ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2018 წლის 3 აგვისტოს N61 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხს: გ.დარბაიძე/

**გადაწყვეტის:**

გამოცხადდეს ძალადაკარგულად „სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში ან/და არსებული არაფუნქციონირებადი / მიტოვებული შენობა-ნაგებობების განვითარების მიზნით მშენებლობის ნებართვის დადგენილ ვადაში აუღებლობისთვის ჯარიმის ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აგვისტოს N61 დადგენილება ( [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 13/08/2018, 330120020.35.167.016411).

/დადგენილება №72 თან ერთვის/

-5-

**მოხსენის:**

ბაისუბნის თემის სოფელ ზემო მსხალგორში არსებული პრობლემების შესახებ.

/მომხს: ვ. სამხარაძე/

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია